უნიქარდის ბარათის მფლობელებს გეძლევათ შესაძლებლობა ლიდერბეთში დააგროვოთ და გახარჯოთ ქულები, ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად. გთხოვთ, ყურადღებით გაეცნოთ პირობებს და თანხმობის შემთხვევაში, ელექტრონულად დაადასტუროთ თქვენი თანხობა „ვეთანხმები“ ღილაკის მონიშვნის გზით.

წინამდებარე პირობები განკუთვნილია ლიდერბეთის ვებგვერდზე ვერიფიცირებული უნიქარდის ბარათის მფლობელებისთვის, ამ პირობებთან ერთად სრულად მოქმედებს შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენის“ (შემდგომში უნიქარდი) „უნივერსალური დაგროვების ბარათით „უნიქარდით“ სარგებლობის პირობები, ხელშეკრულება ბარათის მფლობელთან http://unicard.ge/ge/terms, (შემდგომში სარგებლობის პირობები).

ქულების დაგროვება - გახარჯვის პირობები

1. **ტერმინთა განმარტებები ლიდერბეთში უნიქარდის ქულების დაგროვება-გახარჯვის მიზნებისათვის**

1.1. **პირობები** - წინამდებარე პირობები, რომელიც უნივერსალური დაგროვების ბარათის უნიქარდით სარგებლობის პირობებთან ერთად წარმოადგენს ერთიან სამართლებრივ დოკუმენტს;
1.2. **უნიქარდი** - შპს „უნივერსალ ქარდ კორპორეიშენ“ ს.კ. 202461406, ადგილსამყოფელით: თბილისი, ვაჟა ფშაველას ქ. #71;
1.3. **ლიდერბეთი** - უნიქარდის პარტნიორი კომპანია შპს „სუპერბეთი 2014“, ს.კ. 404461890, ადგილსამყოფელით: ქ. თბილისი, ონიაშვილის ქ. #1;
1.4. **ვებგვერდი** - ლიდერბეთის საიტი **www.lider-bet.com**
1.5. **ქულა** - არაფულადი ერთეული, რომელიც მომხმარებელს უგროვდება უნიქარდის ანგარიშზე;
1.6. **ბარათის მფლობელი/მომხმარებელი** - ფიზიკური პირი, რომელიც ვერიფიცირებულია ლიდერბეთის ვებგვერდზე და ვერიფიცირებულ ანგარიშზე დაკავშირებული/რეგისტრირებული აქვს უნიქარდის ბარათის ნომერი;
1.7. **ვერიფიკაცია** - მომხმარებლის რეგისტრაციის დროს მითითებული მონაცემების დადასტურება ლიდერბეთის მიერ;
1.8. **ლიდერბეთის თანხის დაბრუნების სისტემა** - სისტემა გულისხმობს ბურას, სეკას, ნარდის, დომინოს, პოკერის სპორტის და სხვა ნათამაშები თანხის ნაწილის გაერთიანებას და მომხმარებლის ანგარიშზე უკან დაბრუნებას;
1.9. **ქულების დაგროვება** - მომხარებელისათვის ქულების დარიცხვა ლიდერბეთის თანხის დაბრუნების სისტემის პროპორციულად, ასევე მომხმარებელთა წახალისების მიზნებისათვის უნიქარდსა და ლიდერბეთს შორის შეთანხმებული სხვადასხვა სქემით;
1.10. **ქულების გახარჯვა** - ლიდერბეთში და უნიქარდის სხვა პარტნიორ კომპანიებში დაგროვებული ქულების ლიდერბეთში გამოყენება.

დანარჩენი ტერმინები განთავსებულია სარგებლობის პირობებში.

1. **ზოგადი პირობები**

1.1. ლიდერბეთში ქულების დაგროვება/გახარჯვა შესაძლებელია ლიდერბეთის ვებგვერდზე ვერიფიცირებული მომხმარებელებისათვის, რომლებსაც ვერიფიცირებულ ანგარიშთან დაკავშირებული აქვთ უნიქარდის ბარათის ნომერი/უნიქარდის ანგარიში;
1.2. უნიქარდის ანგარიშის დაკავშირების ტექნიკური დეტალები, თანამიმდევრობა და შესაძლებებლობები სრულად მოცემულია პროგრამულ უზრუნველყოფაში. უნიქარდი უფლებას იტოვებს არ დაადასტუროს ბარათი ლიდერბეთის ანგარიშზე, ან გადაამისამართოს

უნიქარდის სატელეფონო ცენტრში, თუ ბარათის ლიდერებთის ანგარიშზე დაკავშირების პროცესში გამოვლინდება ხარვეზი ან რაიმე სახის უზუსტობა;

1.3. მომხმარებელი ვალდებულია ბარათის დაკავშირების პროცესში მიუთითოს ზუსტი და უტყუარი მონაცემები, წინააღმდეგ შემთხვევაში, უნიქარდი პასუხს არ აგებს დამდგარი შედეგებისთვის;

1.4. ერთი და იგივე უნიქარდის ძირითადი ბარათი ან/და დამატებითი ბარათები შესაძლებელია დაკავშირებული იქნეს ლიდერებეთის მაქსიმუმ 1 (ერთი) ანგარიშთან. ქულების დაგროვება შესაძლებელია ნებისმიერი დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ, ხოლო გახარჯვა/დაგროვება შესაძლებელია ძირითადი ბარათის მფლობელის მიერ;

1.5. მომხმარებელი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს ლიდერბეთის ანგარიშზე დაკავშირებული ბარათი უნიქარდის სხვა ბარათით ან სრულად გააუქმოს უნიქარდის ბარათი ლიდერბეთის ანგარიშზე.

2. ქულების დაგროვება-გახარჯვა

2.1. უნიქარდის ქულების დარიცხვა/დაგროვება ხორციელდება ლიდერბეთის თანხის დაბრუნების სისტემის მიერ მომხმარებელის ლიდერბეთის ანგარიშზე ლარში დარიცხული ბონუსების (ქეშბექი) პროპორციულად, კერძოდ: ყოველ დაგროვებულ 50 (ოცდაათ) თეთრ ქეშბექზე ირიცხება/გროვდება 0.5 (ნოლ ხუთი) უნიქარდის ქულა;

2.2. უნიქარდის ქულების გახარჯვისას ქულების ლარში სპეციალური წესით კონვერტირების მიზნებისათვის მოქმედებს შემდეგი ტარიფის ტიპები: სტანდარტული, შეღავათიანი და პრემიალური ტარიფები. მომხმარებლებს უნიქარდის მიერ ავტომატურ რეჟიმში, ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების შესაბამისად ენიჭებათ სათანადო ტარიფის ტიპი. ტარიფის ტიპის მინიჭების მიზნებისათვის კრიტერიმები შემდეგია:

ა. შეღავათიანი ტარიფი ენიჭებათ მომხმარებელებს, რომლებსაც ლიდერბეთის ვებგვერდზე უნიქარდის ბარათის დაკავშირებიდან წინა 30 დღის განმავლობაში, უნიქარდის ბარათით მინიმუმ 3 (სამი) სხვადასხვა კომპანიაში ჰქონდათ განხორციელებული ქულების დაგროვების საბარათე ოპერაცია;

ბ. პრემიალური ტარიფი ენიჭებათ მომხმარებლებს, რომლებსაც ლიდერბეთის ვებგვერდზე უნიქარდის ბარათის დაკავშირებიდან წინა 30 დღის განმავლობაში, უნიქარდის ბარათით მინიმუმ 5 (ხუთი) სხვადასხვა კომპანიაში ჰქონდათ განხორციელებული ქულების დაგროვების საბარათე ოპერაცია;

გ. სტანდარტული ტარიფი ენიჭებათ მომხმარებლებს, რომლებსაც ლიდერბეთის ვებგვერდზე უნიქარდის ბარათის დაკავშირებიდან წინა 30 დღის განმავლობაში, უნიქარდის ბარათით მინიმუმ 1 (ერთი) კომპანიაში ჰქონდათ განხორციელებული ქულების დაგროვების საბარათე ოპერაცია. ამასთანავე თუ მომხმარებელს მხოლოდ ლიდერ-ბეთზე უფიქსირდება ქულების დაგროვება/დარიცხვა მას ასევე შეეძლება სტანდარტული ტარიფით სარგებლობა;

2.3. უნიქარდის ქულების გახარჯვისას უნიქარდის ქულები ლარში კონვერტირდება შემდეგნაირად:

ა. სტანდარტული ტარიფის შემთხვევაში 30 (ოცდაათი) ქულა შეადგენს 1 (ერთი) ლარს,
ბ. შეღავათიანი ტარიფის შემთხვევაში 20 (ოცი) ქულა შეადგენს 1 (ერთი) ლარს,
გ. პრემიალური ტარიფის შემთხვევაში 15 (თხუთმეტი) ქულა შეადგენს 1 (ერთი) ლარს.

2.4. ნებისმიერ კომპანიაში დაგროვებული ქულების გახარჯვა ლიდერბეთში შესაძლებელია შეუზღუდავად;

2.5. ქულების დარიცხვა ხორციელდება არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა;

2.6. უნიქარდის ქულების დაგროვება/დარიცხვა ხორციელდება - ყოველ, მინიმუმ 0,50 თეთრის ოდენობით/ბიჯით;

2.7. უნიქარდის ქულების გახარჯვა ერთჯერადად შესაძლებელია მხოლოდ - მაქსიმუმ 1000 (ერთი ათასი) ლარისა და მინიმუმ 0.10 (ათი თეთრი) ლარის თანხაზე;

2.8. უნიქარდი უფლებას იტოვებს მომხმარებელების წახალისების მიზნებისათვის დაბადების დღეებზე, სხვადასხვა ტურნირების გახსნის ან/და სხვადასხვა აქციების დროს, აქციის პირობების შესაბამისად დაარიცხოს წინამდებარე პირობებით დადგენილისაგან განსხვავებული ან დამატებითი ქულები;

2.9. ლიდერბეთის მიერ მომხმარებლისთვის რაიმე პირობის დათქმა არ ნიშნავს, რომ ეს პირობა დათქმულია უნიქარდის მიერ, შესაბამისად უნიქარდი პასუხს არ აგებს ამგვარ პირობაზე;

2.10. საეჭვო ოპერაციებზე სრულად ვრცელდება მომსახურების პირობებით დადგენილი დებულებები;

2.11. წინამდებარე პირობები შეიძლება შეიცვალოს ცალმხრივად უნიქარდის მიერ, რაც ავტომატურად გავრცელდება მომხმარებლებზე, ცვლილებები განთავსდება ლიდერბეთის ვებგვერდზე;

2.12. წინამდებარე პირობებზე თანხმობის გაცხადებით მომხმარებელი გარდა ზემოთ აღნიშნული პირობებისა, ასევე ადასტურებს, რომ უნიქარდის მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში უნიქარდი უფლებამოსილია განახორციელოს მომხმარებლის მიერ მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება. რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ავტომატური ან არაავტომატური საშუალებების გამოყენებით მონაცემთა მიმართ შესრულებულ ნებისმიერ მოქმედებას, კერძოდ მათ შეგროვებას ჩაწერას, ფოტოზე აღბეჭდვას, აუდიოჩაწერას, ვიდეოჩაწერას, ორგანიზებას, შენახვას, შეცვლას, აღგენას, გამოთხოვას გამოყენებას ან გამჟღავნებას მონაცემთა გადაცემის, გავრცელების ან სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომის გზით, დაჯგუფებას ან კომბინაციას, დაბლოკვას, წაშლას ან განადგურებას. უნიქარდის მიერ ელექტრონულ არხებში (ვებგვერდი www.lider-bet.com,მობილური აპლიკაციები ან/და სხვა მონაცემთა გადაცემის ტექნიკური საშუალებები) მომხმარებლის შესახებ მონაცემების დამუშავება ასევე მოიცავს მომხმარებლის აქტივობის ჩაწერას (მაგალითად ელექტრონული არხით/ინტერნეტ სივრცით სარგებლობისას) მომხმარებლის ადგილსამყოველის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი. ვებ გვერდზე უნიქარდის მიერ ელექტრონულ არხებში (ვებ გვერდი,მობილური აპლიკაციები ან ვებ გვერდზე არსებული ინფორმაციების ან/და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემების ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგალითად: მომხმარებლის ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას;

2.13. წინამდებარე პირობებსა და სარგებლობის პირობებს შორის წინააღმდეგობის/აზრობრივი განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება წინამდებარე პირობებს, საკითხები რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე პირობებით დარეგულირდება სარგებლობის პირობების შესაბამისი დებულებებით;

2.14. მომხმარებელი წინამდებარე პირობებზე თანხმობის გაცხადებით ადასტურებს, რომ ეთანხმება მითითებულ პირობებს.

პირობებთან დაკავშირებით კითხვების/განმარტებების შემთხვევაში გთხოვთ დაგვიკავშირდეთ სატელეფონო ცენტრში ნომერზე (+995 32) 2 555 222.